



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანჯოლელი

ანჯოლელი (Angiolello) ჯოვანი მარია (1451 ან 1452, ვიჩენცა, - 1547), ცნობილი ვენეციელი მოგზაური.

1472-იდან ოსმალთა სამსახურში იყო და 1476-77 მონაწილეობდა მოლდავეთის და უნგრეთის, ხოლო 1481 – ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ბრძოლებში. მეჰმედ II-ის სიკვდილის შემდეგ შეეკედლა ირანს. რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. 1507-14 ისევ აღმოსავლეთში იმყოფებოდა, მსახურობდა შაჰ-ისმაილის კარზე. 1514 სამუდამოდ დაბრუნდა სამშობლოში. 1517-იდან სიკვდილამდე ნოტარიუსების კოლეგიის თავრის თანამდებობა ეკავა.

ა-მ საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა XV-XVI სს. საქართველოზე, განსაკუთრებით საქართველოსა და ირანის შაჰების (უზუნ-ჰასანი, ისმაილი) ურთიერთობებზე 1477- 1514 წლებში.

თხზ.: XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისტვალიშვილმა, თბ., 1981.

ე. მამისტვალიშვილი
